



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური  
დირექტორის

ბრძანება № 127

2015 წლის 02 ნოემბერი

ქ. თბილისი

სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების  
ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის გამოცხადების,  
კონკურსის პროგრამისა და მასში მონაწილეობის პირობების დამტკიცების შესახებ

„სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის კვლევების  
ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის დებულებისა და  
საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს  
განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 10 აგვისტოს #133/ნ ბრძანების მე-2  
მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა  
რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების  
შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის #62/ნ  
ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ნ“ ქვეპუნქტების  
საფუძველზე:

**ვბრძანებ:**

1. 2015 წლის 2 სექტემბერს გამოცხადდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული  
სამეცნიერო ფონდისა (შემდგომში ფონდი) და იტალიის კვლევების ეროვნული საბჭოს  
(CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების კონკურსი;
2. დამტკიცდეს სსიპ-შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის  
კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო საგრანტო კონკურსის  
პროგრამა და მასში მონაწილეობის პირობები ამ ბრძანების დანართი N1 შესაბამისად;
3. დამტკიცდეს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და იტალიის  
კვლევების ეროვნული საბჭოს (CNR) ერთობლივი სამეცნიერო გრანტების 2015 წლის  
კონკურსში მონაწილე პროექტის წარმომდგენ ქართველ მკვლევართა გაცხადება ამ  
ბრძანების დანართი N2 შესაბამისად;

4. დამტკიცდეს საპროექტო განაცხადის ფორმა განცხადება ამ ბრძანების დანართი N3 შესაბამისად;
5. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს თეა მჭავანაძეს წინამდებარე ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოქვეყნება ფონდის ვებგვერდზე: [www.rustaveli.org.ge](http://www.rustaveli.org.ge);
6. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროგრამის კოორდინატორად განისაზღვროს ფონდის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ფონდების მოზიდვის სამსახურის უფროსი მარიამ ქებურია და მთავარი სპეციალისტი ნიკოლოზ ბაქრაძე;
7. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი №6).

მარინე ჩიტაშვილი

